

ინფორმაცია კონკურსანტისათვის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში სტუ) სამეცნიერო პროექტების შიდა კონკურსში წარდგენა პრიორიტეტების მიხედვით წარმოებს შემდეგ ნომინაციებში:

1. გამოყენებითი ხასიათის პროექტი:

1.1 სადაც ინვესტიცია დაბრუნდება სტუ-ს ადმინისტრაციასა და შემსრულებელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რისთვისაც პროექტს უნდა ერთვოდეს წინასწარი განზრახულობის ხელშეკრულება მწარმოებელთან პროექტით განსაზღვრული პროდუქციის გამოშვებაზე და მის რეალიზაციაზე;

1.2 გამოყენებითი სახის მეცნიერტევადი სამეცნიერო პროექტი, რომელსაც გააჩნია სამრეწველო რეალიზაციის უახლოესი პერსპექტივა.

2. სამეცნიერო - თეორიულ პროექტს წარადგენს მკვლევარი ან მკვლევართა ჯგუფი, რომელთაც გააჩნიათ აქტუალური სამეცნიერო პრობლემის გადაჭრის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა.

შენიშვნა:

- ❖ თითოეული კონკურსანტი მონაწილეობს სტუ-ს შიდა კონკურსის მხოლოდ ერთ ნომინაციაში;
- ❖ უპირატესობა ენიჭება საბაზრო პერსპექტივის მქონე პროექტებს და პირველ რიგში დაფინანსდება გამოყენებითი სახის სამეცნიერო პროექტები, სადაც მკაფიოდ არის დასაბუთებული მათი უახლოესი სამრეწველო რეალიზაციის პერსპექტივა.